საქ. რთ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი [illegible]

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. [illegible]
4 „ 30,000
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 300,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 417 ოთხშაბათი, თებერვლის 14 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

## მუშათა კლასი და სოც.-დემოკრატია

ჩვენ არა ერთხელ აგვინუსხავს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია არ წარმოადგენს მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლ რაზმს. მენშევიზმი არსებითად კაპიტალისტური ქვეყნის დამავსებულ საფუძვლების გამაგრების საქმეს ემსახურება. თანამედროვე მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ამჟამად დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე, ერთხელ კიდევ ასურათხატებს ჩვენს ზოგადი ხასიათის მოსაზრებას სოც.-დემოკრატიულ პარტიის შინაბუნებაზე.

რურის ოლქის ოკუპაციამ ბევრ დაფარულს ახადა ფარდა, მრავალ რასმეს ჩამოაშორა შავი სუდარა და დღის სინათლეზე გამოამზეურა. ყოვლის უპირველესად რურის ტრაგედია იძლევა საერთაშორისო მენშევიზმის რეაქციონური სულის კვეთების საუცხოვო ილიუსტრაციას.

მთელი ქვეყნის მუშათა კლასი აღშფოთებით ხვდება საფრანგეთის იმპერიალიზმის განვითარების ფაქტს, კერძოთ—გერმანიის მძიმე უღლის ქვეშ მოქცევის შესაძლებლობას. რურის ოლქი მეტად მდიდარი ოლქია. მასში მოთავსებულია გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების მნიშვნელოვანი ნაწილი. რურის მიდამოები განთქმულია ქვა-ნახშირის სინოყიერით. აშკარაა, გერმანიის წინაშე რურის დაკარგვით სდგება სილატაკის, ეკონომიურად დაუძლურების, კოლონიალ პირობებში ჩადგომის აუცილებლობა. ამავე დროს საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია რურის მიდამოების თავის ბრჭყალებში მოქცევით წელზე მაგრდება და ახალ იმპერიალისტურ გეგმების წამოყენებაზე ოცნებობს.

როგორი უნდა იყოს სოციალისტური მიმდინარეობის, სოციალისტური პარტიების პოზიცია ამ შემთხვევაში? პასუხი ნათელია: სოციალისტური პოლიტიკა მუდამ და ყველგან მიმართული უნდა იყოს იმპერიალისტურ ტენდენციების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ასე არ სდგას საკითხი ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერების წინაშე. ევროპიელი მენშევიკები და მათი შტაბი—მეორე ინტერნაციონალი ამ საბედისწერო მომენტშიაც რეფორმისტულ გზას ადგია. არა აქტიური ბრძოლა და პროპაგანდა ძალადობის, საფრანგეთის ბურჟუაზიის მორიგ თავდასხმის წინააღმდეგ, არამედ „შეგუება“, მუშათა კლასის სულგრძელობის და დამშვიდებისადმი მოწოდება,—აი ოფიციალი მენშევიზმის სადღეისო პლატფორმა.

ჩვენ ვიცით სოც.-დემოკრატიის თვალსაზრისი ამის საკითხში. სიტყვით მენშევიზმი „რაინდულად“ იბრძვის სისხლის ღვრის წინააღმდეგ, მაგრამ საქმით კი აკეთებს სრულიად საწინააღმდეგო საქმეს. ევროპიულ ომმა გამოაშკარავა ს.-დ. ფიზიონომია. გერმანიის მენშევიკების მეთაურებმა მხარი დაუჭირეს სამხედრო კრედიტებს. ამით ხელი მოაწერეს ომის პასუხისმგებლობას. ნოსკეს, შეიდემანის და მათი ძმების მაგალითს წაბაძეს საფრანგეთ-ბელგიის „ამხანაგებმაც“ საერთაშორისო ბრძოლის პროცესში ჩაება „რევოლიუციონური“ სოც.-დემოკრატია.

სწორედ ანალოგიური მოვლენების სურათები იშლება ჩვენს წინაშე ახლაც. დღეს ისევე გამძიმებულია ომის ქინით ატმოსფერა, როგორც ეს იყო 1914 წ. ყველგან გაისმის იარაღის ჟღარუნი. ბურჟუაზიული მსოფლიო ახალ ომისთვის ემზადება. კონფერენციათა წყებები უშედეგოდ გათავდა. ლოზანას გენუის ბედი ეწვია. ანტანტა მოითხოვს ახალ პირობების ასრულებას ოსმალეთის მხრით. ოსმალეთიც აყენებს საწინააღმდეგო პროექტებს. მცირე ანტანტა ბრძოლის ყაიდაზე დგება. ერთი სიტყვით, ახალი ომის ღმერთი კვლავ აპირებს ხმლისა და ფარის ატრიალებას.

მუშათა კლასისათვის ყოველივე ეს აშკარაა და ნათელი. ცხადია მშრომელი ხალხი გაუწევს აქტიურ წინააღმდეგობას მსოფლიო კაპიტალის მაგნატების შავ მიზნებს.

სოციალ-დემოკრატია კი არ სჩანს ამ საბედისწერო მომენტში მშრომელთა კლასის რიგებში. პირიქით, იგი შეგნებით თუ ინერციით კვლავ ძველი გზით გაექანება გატიტვლებულ რეფორმიზმის სამსხვერპლოსაკენ...

გერმანიის გალატაკებით სრულებით არ ღარიბდება გერმანიის ბურჟუაზია. სტინესის ჯიბე ვალების რეალიზაციით არ თხელდება. მთელი სიმძიმე აწვება მხოლოდ და მხოლოდ ღარიბთა მასსებს. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, ყველასათვის ცხადყოფილი და ნათელი.

რას ფიქრობს ვანდერველდე და მისი კამპანია? აი მათი კოლექტიური აზრი. „ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ჩვენც ისეთივე უფლება გვაქვს მივიღოთ ვალები გერმანიისაგან, როგორც იტალიას და საფრანგეთს. გერმანიამ თავისი ვალი უნდა გადაიხადოს.

საფრანგეთმა სისხლი დაღვარა. არ არსებობს პასუხისმგებლობა უფრო მძიმე, ვიდრე პასუხისმგებლობა გერმანიის მთავრობის. გერმანიის მსხვილი მრეწველობა მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს მთელი ქვეყნისთვის“. ასეთია ბელგიის სოც.-დემოკრატიის პოზიცია. მინისტრი ვანდერველდე შურისძიების ნიადაგზე სდგას. მას სურს „დასუსტებულ“ გერმანიის მდგომარეობით სარგებლობა და გერმანიის მუშისა და გლეხის ჯიბიდან უკანასკნელი გროშის ამორთმევა.

რევოლიუციონური მუშათა კლასი უსათუოდ შესაფერ განაჩენს გამოუტანს მუშათა საქმის ფარისევლებს. ბურჟუა-კაპიტალისტი, რომელიც გარკვეულის სახით ევლინება მშრომელთა მასსების განთავისუფლების მიზანს, იმდენად არაა საშიში და აქტიურად საზიანო რევოლიუციის საქმისათვის, რამდენად „წითელ“ ნიღაბ ქვეშ ამოფარებული „სოციალისტი“ და დემოკრატი ვანდერველდე-შოუს და დე-ბრიუკერის ტიპისა.

თანამედროვე პოლიტიკური ხლართები ერთხელ და სამუდამოდ ცხადყოფს იმ დებულებას, რომ რევოლიუციონურ პროლეტარიატის და რეფორმისტულ მენშევიზმის შუა არ არსებობს ინტერესთა ჰარმონია.

## ნარკვევი

**ანარქისტული ინტერნაციონალი**

გაზ. „პრავდა“ ეხება ანარქო-სინდიკალისტების ცდას, ახალი ინტერნაციონალის დაარსების შესახებ.

ანარქისტებმა გადასწყვიტეს დაარსონ ანარქისტული ინტერნაციონალი. მთელი ქვეყნის რევოლიუციონური მუშები გაიგებენ, თუ რაშია საქმე, როდესაც ანარქო სინდიკალისტების ლიდერები მათ განუცხადებენ, რომ მათ ცდას მიზნად აქვს „მუშათა მთლიანობის აღდგენა, რომელიც დაანგრია ამსტერდამმა და მოსკოვმა“.

უკანასკნელი წლების ცდები საუკეთესოთ უნდა გამოიყენოს მუშათა კლასმა. ანარქო-სინდიკალისტების დახავსებული ფორმულები მათ უკვე არას ეუბნებათ.

იყო დრო, როდესაც მათი მოღვაწეობა ჩვენში ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევდა; ჩვენ გვეშინოდა მათი გავლენისა პროლეტარიატის ნაწილზე. მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ მათ დეკლარაციებში კავშირების ავტონომიის შესახებ იმალებოდა მათი ნამდვილი მიზანი—გადაექციათ კავშირები ანარქისტულ ორგანიზაციებად. დღეს, როდესაც ძალა და მნიშვნელობა წითელი პროფინტერნისა ყოველი დღით იზრდება, ე. წ. ინტერნაციონალი ანარქო-სინდიკალისტებისა უთუოდ დაღუპვის გზას დაადგება.

მათ მიერ რაიმე შედეგის მიღწევის შესაძლებლობა კიდევ უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე ეს ივნისში იყო. მაშინ საფრანგეთის შრომის კონფედერაციას, რომლის აღმასრულებელი კომიტეტი ანარქისტების ხელში იყო, არ ეჭირა გარკვეული პოზიცია, ესპანეთის ნაციონალურ შრომის კონფედერაციის ყრილობაზე რეზოლიუცია შეჰქონდა მოსკოვიდან გამოყოფის შესახებ. იმედი ჰქონდათ, რომ ამერიკული „მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშები“ და ჰოლანდიელი კავშირები მიემხრობოდენ ანარქისტულ მოძრაობას.

მაგრამ ივნისის შემდეგ გარემოებანი შეიცვალენ. საფრანგეთის შრომის კონფედერაცია უკვე საბოლოოდ შეუერთდა წითელ პროფინტერნს, დანარჩენი ორგანიზაციები ნეიტრალიტეტს იცავენ, ან წითელი პროფინტერნის ორიენტაციის გზაზე სდგანან.

ამრიგად, შექმნილია მეტად არა სასურველი სურათი, რომელიც მათ დამარცხებამდი მიიყვანს უთუოდ. რამდენი წევრი ეყოლება ამ ორიგინალურ საერთაშორისო გაერთიანებას? მეტად ოპტიმისტური გამოანგარიშებით მასში შევლენ: ანარქო-სინდიკალისტური კონფედერაცია არგენტინისა 30,000 წევრით, ინდუსტრიალური მსოფლიოს მუშები (ჩილი)—3000, დანიელი სინდიკალისტები,—რამდენიმე ასი წევრი, გერმანელი ლოკალისტები—25-30 ათასი, იტალიელ სინდიკალისტების კავშირის ბორგის ფრაქცია—15-20,000, ნორვეგიის ფედერაცია სინდიკალისტებისა—3000, პორტუგალიის კონფედერაცია—80,000, შვეციის პროფკავშირების გაერთიანება 32000, ესპანეთის შრომის კონფედერაცია (რიცხვი გამოურკვეველია), მექსიკელ მუშების საერთო კონფედერაცია—25-30,000, ფრანგული კომიტეტი სინდიკალიზმის დაცვისა, რამდენიმე დიუჟინი ინტელიგენტ-ნაციონალისტებისა და ბოლოს, სინდიკალისტური უმცირესობა რუს რევოლიუციონერთა.

ასეთი იქნება ამ „ინტერნაციონალის საფუძველი“, რომელიც მეტად მერყევი და კომუნისტური იდეებითაა გაჟღენთილი. არავითარი პერსპექტივა მის მომავალ საქმიანობისა არა აქვს და მუშათა კლასი კი, დღითი-დღე უახლოვდება იმ გზას, რომელიც დასახულია კომინტერნისა და პროფინტერნის მიერ.

## ზოგი რამ

**კომპოზიტორის ვიქტორ დოლიძის გამოსათხოვარი საღამოს გამო.**

საქართველომ რევოლიუციის ქარტეხილში ძველი ცხოვრების ნანგრევებზე შეჰქმნა სამუსიკო უმაღლესი ფორმა—ქართველობა აღაფრთოვანა ახალმა ცხოვრებამ. მისი აღმაფრენა უჩვეულოდ აღზევდა და წარმოაშობინა არა თუ აკადემიური, არამედ რევოლიუციონური ოპერაც როგორც განცდა აბობოქრებული ცხოვრებისა, რამაც სამუდამოდ დაამხო მეფე და მისი ტახტი. უნდა ითქვას, რომ იმავ დროს სამუსიკო ხელოვნებას რევოლიუციის ცენტრში რუსეთში არაფერი შეუქმნია ღირსახსოვარი, თორემ რუსეთის ჟურნალგაზეთობა შეგვატყობინებდა.

ქართველ მუსიკოსებში თავი იჩინა თავისი ნაყოფიერებით და ფართო შემოქმედებით ახალგაზდა კომპოზიტორმა ვიქტორ დოლიძემ არა ქართული მუსიკის მწიგნობართა ლოცვა-კურთხევით, არამედ იმით, რომ იგი დააფასა ხალხმა რომელსაც მისი ოპერების ნახვის დაუცხრომელი სურვილი იზიდავს სახელმწიფო ოპერის შენობისკენ. ვიქტორ დოლიძე მოხერხებულიც არის, რომ თავისი საოპერო სუჟეტები საინტერესოდ შეუთხზას და მერმე გაჰშალოს მუსიკით, რომელიც ევროპულ-ქართულ ხალხურ-ბაიათური მელოდიების ერთგვარ დაზავებას წარმოადგენს. მისი პირველი ოპერა ქეთო და კოტე არის იგივ უკვდავი ხანუმა, ხოლო ლეილა—ლეკის ქალი გულჯავარ, ორივე კლასიკური ნაწარმოები ასიკო ცაგარლისა. როგორც მოგეხსენებათ ქეთო და კოტე ქართული მუსიკის მწიგნობრებმა დაასამარეს, ხოლო ლეილა ცოტა უკეთეს ნაწარმოებად აღიარეს. მესამე ნაწარმოები ვ. დოლიძისა არის რევოლიუციონური ოპერა ცისანა, რომელიც იმავე მწიგნობრებმა ჯვარს აცვეს სახელოვნო კომისიაში განხილვის დროს, მაგრამ ჯერ ამხ. კაპელნიცკიმ და მერმე ამხ. კაკაბაძემ ის აზრი დაასკვნეს, რომ საბოლაო მსჯავრის დადება თვით ხალხის საქმეა, იმასვე უნდა ეკითხებოდეს მოწონებაც, დაწუნებაცაო. ცისანა იმით არის შესანიშნავი, რომ შიგ იხატება სულიერი განცდა იმისა, რამაც წარმოჰშვა რევოლიუცია და რაც რევოლიუციამ ძირბუდიანად ამოაგდო ახალი ცხოვრების საუკეთესო იდეალების განსახორციელებლად. აი მოკლე შინაარსი ცისანა ოპერისა:

1916—1917 წ. შემოდგომაზე რევოლიუციის ბობოქრობის დროს ვახტანგ შუშიშვილი ქართველი ინტელიგენტი, ექიმი და გათქმული პოეტი, რომელიც რევოლიუციონერების წინამძღოლია, გაიცნობს კნიაჟნა ცისანას, დიდი გენერლის ამირაჯიბის ქალსა, ცისანა სილამაზით განთქმული სასახლის სეფე ქალია და ახალ სოციალი იდეები აქვს გამჯვალული. მოქმედება სწარმოებს ავსტრიის ფრონტზე ირგვლივ გარშემო ერთი დიდი სასნეულისა, რომელიც იმყოფება დედოფლის საფარველ ქვეშ და სადაც ცისანა უფროსი მოწყალე დის თანამდებობას ასრულებს. ვახტანგს და ცისანას ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ცისანა მოსწონს აგრეთვე ჟარდამების კორპუსის გუნდის თავს ვლადიმირ გორსკის. ასე რომ ვახტანგის, როგორც რევოლიუციის წარმომადგენლის და გორსკის როგორც რეაქციის წარმომადგენლის შორის, დაიწყება ბრძოლა, როგორც პოლიტიკურ, ისე რომანიულ ნიადაგზე, რათგანაც ორთავ გმირს გაგიჟებით უყვარს მშვენიერი კნიაჟნა ცისანა. გორსკი დაატუსაღებს ვახტანგს იმ დროს, როცა რევოლიუციონერებს საიდუმლო კრება აქვთ, ვახტანგს, როგორც კრების თავმჯდომარეს და რევოლიუციონერების მოთავეს სამხედრო სასამართლო დახვრეტას გადაუწყვეტს. ცისანა მიდის გორსკისთან და ევედრება, გადაარჩინოს ვახტანგ სიკვდილსა, მაგრამ გორსკი ეტყვის ცისანას, თანახმა ვარ, თხოვნა აგისრულო თუ ჩემი გახდებიო. რათგანაც ცისანას სხვა გზა არ დარჩენია, დასთანხმდება იმ პირობას, მაგრამ როდესაც გორსკი სცდილობს მოეხვიოს, ცისანა სილაქს გააწნის, მოთმინება დაკარგული. გორსკი ბრაზმორეული გასცემს ბრძანებას, რომ ვახტანგ მეორე დღეს დახვრიტონ. კამერაში მყოფი ვახტანგ ნახევარი საათის შემდეგ უნდა გამოასალმონ წუთისოფელსა, მაგრამ იმ დროს გაისმის ქალაქში მარსელიეზის ხმა მეფის ჩამოგდების გამო 1917 წ. თებერვლის 27-სა. გორსკი ჰხედავს, ხალხი უახლოვდება ციხეს და მოელის მისგან შურის ძიებას. მაგრამ სასოწარკვეთილი ამოიღებს რევოლვერს და ზურგში დასცემს ვახტანგს, რომელიც სარკმელში პლტაცებით უცქერის გამარჯვებულ ხალხსა. სასიკვდილოდ დაჭრილი ვახტანგ ჰყვირის მიშველეთო. იმ დროს ციხე დაინგრევა და გამარჯვებული ხალხი ეძებს თავის მოთავეს ვახტანგს. შემოიჭრება აგრეთვე გახარებული ცისანა, მაგრამ გვიანღა არის, ვახტანგი სულს დაჰლევს მის ხელში. ხალხი მღერის სამგლოვიარო მარშს ხოლო გულდამწვარი ცისანა [illegible] დასტირის თავის საყვარელ ვახტანგსა.

ავტორის სამთავ ოპერის რუსული თარგმანიც დამზადებულია, რაიც მოასწავებს ერთგვარ პრაქტიკულ გამჭრიახობას და განუზრახავს მოსკოვს წასვლა, რომ იქაურ სცენაზე დასდგას. აი ამის გამო ჰმართავს დღეს თებერვლის თოთხმეტს გამოსათხოვარ საღამოს. თავისი ორი პირველი ოპერის დადგმით, რის დასასრულ საკონცერტო განყოფილებაში შესრულებულ იქნება ნომრები **ცისანა** ოპერიდან. მაგრამ ქართველი პროლეტარიატის წინაშე დიდ დანაშაულს ჩაიდენს ვ. დოლიძე, თუ მის დედაქალაქში **ცისანას** არ მოასმენინებს. რაც უნდა გაჰხდეს **ცისანა** უნდა დაიდგას ტფილისში საგანგებო მიზანსცენებით. რომ პროლეტარიატი მეტი მოზიარე გაჰხდეს იმ სულიერი განცდისა, რასაც ოპერის შინაარსი გვიხატავს, ამ პიესაში რეაქცია პროვოკაცია და რევოლიუცია ისე ოსტატურად არის თავმოყრილი, რომ ვიქტორ დოლიძე ინტერესის გაჩენაში უბადლოა ჩვენში. რაც შეეხება მის სამუსიკო ხელოვნებას, ამასაც ბრწყინვალე განვითარება მოელის, რისიც თავდებია ავტორის ახალგაზდობა, მისი ნიჭი, შრომის უნარი და ინტერესის გამოჩენის შნო,

მაგრამ **ცისანა** ტფილისის პროლეტარიატმა უნდა ჰნახოს უსიკვდილოდ, ხოლო პროფ. კავშირთა საბჭომ ხმა უნდა ამოიღოს, ყოველი ღონე იხმაროს, რომ **ცისანა** პირველად ტფილელმა მუშამ იხილოს.

**პეტრე ზირიანიშვილი.**

## ახლო აღმოსავლეთი

### ანგორა

**ოსმალეთის პრესის აზრი.**

**ანგორა,** 9 თებერვალი. გაზეთი „ენიგ ადანა“ უკეთებს რა ჯამს ლოზანას კონფერენციას აღნიშნავს, რომ კონფერენციამ სარგებლობა მისცა მხოლოდ ლოზანას ტელეგრაფისტებს და ხელის მომწერლებს. მთელი კონფერენციის განმავლობაში მოსჩანდა ფრანგების და ინგლისელების სრული ერთსულოვნება. უნდობლობა საფრანგეთის პოლიტიკისადმი სავსებით დამტკიცდა.

ანგორის სალახეიდის ზომიერ ჯგუფის ორგანო „ტან"-ი მოწინავეში სწერს: „ჩვენ გამოვსთქვამთ იმედს, რომ მოკავშირეები გაითვალისწინებენ მსოფლიოს დაუმკვიდრებელ მდგომარეობას და დაადგებიან ჭეშმარიტ გზას. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეუძლებელი იქნება სამშვიდობო კონფერენციის სრული ჩაშლა.

იგივე გაზეთი სწერს: ვერც ომმა, ვერც რევოლიუციამ ვერ იქონია გავლენა დასავლეთის პოლიტიკაზე აღმოსავლეთის საკითხში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოკავშირეები იგრძნობენ აუცილებლობის ჩვენთან მოლაპარაკებისა ურთიერთ-თანასწორობის საფუძველზე.

გაზეთი „ხაკიმიეთ მილიე", აღნიშნავს რა მრავალ რიცხოვან დათმობებს ოსმალეთის მხრივ, სასტიკად ჰკიცხავს საფრანგეთის პოლიტიკას. გაზეთი სწერს: ბოლოს მოკავშირეებმა ჩამოიხსნეს ნიღაბი და საფრანგეთმა გამოააშკარავა, რომ ის არის ყველა იმ კატასტროფების გამომწვევი, რომელიც საფრთხეს უმზადებს მთელს მსოფლიოს. მოკავშირეებს სურთ კიდევ უფრო დასწვან აღმოსავლეთი, მაგრამ ოსმალოები შეინარჩუნებენ თავიანთ სახეს ამ ცეცხლში.

პასუხისმგებლობა შედეგებისათვის ეკისრება მათ, რომლებიც ატარებდენ და შემდეგ მოიხსნეს ნიღაბი.

გაზეთი „ენი მიუნი" სასტიკად ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ. ის აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პოზიციამ ლოზანაში გამოააშკარავა ანგორის შეთანხმების უდღეურობა, მტკიცდება, რომ დიდმა სახელმწიფოებმა წააქეზეს საბერძნეთი, რათა დაეწყოს ომი ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ კონფერენციის ჩაშლისათვის პასუხისმგებლად ვსთვლით ფრანგებს. პუანკარემ მიმართა ისმეტ-ფაშას, არწმუნებს არა უკანასკნელს შეთანხმების შესაძლებლობაში. ჩვენ არ ვიცით, თუ რას უპასუხებს ისმეტ-ფაშა, ჩვენ მის ადგილზე ვუპასუხებდით: „უკვე გვიანია".

**ოსმალოების ულტიმატუმის გამო**

**ანგორა** 13 თებ. 8 თებერვალს მოკავშირეთა კომისრებმა სტამბოლში გადასცეს ოსმალოებს ნოტა განცხადებით, რომ მუდანიის კონფერენცია ძალაში რჩება და ოსმალოების წინადადება, იზმირის და სმირნის ნავთსადგურების მოკავშირეების გემებიდან განთავისუფლების შესახებ, მიუღებელია მოკავშირეებისათვის.

**საფრანგეთის გენერალის გაკვირვება**

**ანგორა** 13 თებ. გენერალმა პელემ გაზეთ „აკშამ"-ის თანამშრომლებთან გამოსთქვა გაკვირვება იმის გამო რომ ოსმალეთის პრესა მტრულად არის განწყობილი საფრანგეთის მიმართ.

ის აღნიშნავს, რომ ოსმალეთის პრესის გალაშქრება საფრანგეთის წინააღმდეგ აგებულია ყალბ ინფორმაციებზე და იმედს გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება ზავის მიღწევა.

**ალექსანდრეტის და ანტაკიის მოსახლეობა გმინავს ფრანგების რეპრესიების გამო**

**ანგორა** 13 თებ. გაზეთი „ენი ადანა" უარყოფს რა ერთ-ერთ ბეიბურთის გაზეთის განცხადებას, ამტკიცებს, რომ ანტაკიის და ალექსანდრეტის მოსახლეობას უმთავრესად შეადგენენ ოსმალოები. ეს ოლქები უნდა ეკუთვნოდეს ოსმალეთს. გაზეთი „ხიადი" სწერს: ოსმალეთი არავის არ დაუთმობს არც ალექსანდრეტის, არც ანტაკიას, რომლებიც გმინავენ საფრანგეთის რეპრესიების და სიმხეცის გამო.

**ს მ ი რ ნ ა**

**თავის თავს ამშვიდებენ**

**ბერლინ** 13 თებ. მოლაპარაკებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა სმირნაში ერთის მხრივ მოკავშირეების და მეორე მხრივ ოსმალეთის სამხედრო, საზღვაო ხელისუფლებათა შორის რეიდაზე მოკავშირეების გემების დატოვების შესახებ, სთვლიან ატმოსფერის შემსუბუქებად.

# რურის ოლქის ოკუპაცია

**ფრანგებთან ერთი გზით**

**მანჰეიმი.** 13 თებ. პარიზის პრესა ირწმუნება, რომ ბელგიის მთავრობა მოითხოვდა სასტიკ საოკუპაციო რეჟიმის შემოღებას.

**გაფიცვა**

**მანჰეიმი.** 13 ბოხუმიდან იტყობინებიან კრუპპის ქარხნების მოსამსახურეების და მუშების დადგენილების შესახებ 2 დირექტორის დაპატიმრების გამო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

**რეპრესიების პოლიტიკა**

**ბერლინ.** 13 თებ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან: ფრანგები დარწმუნდნენ რომ კუნოს კაბინეთის პოლიტიკის და გერმანიის მთავრობის მოქმედების გამო —ერთად-ერთი შესაძლო პოლიტიკა არის რეპრესიების პოლიტიკა სანამ საფრანგეთი არ აღადგენს განადგურებულ ოლქებს და ინგლისი არ გადაიხდის თავის სამხედრო ვალებს კონტრიბუციის ხარჯზე. საფრანგეთის წრეების აზრით მარკის დაცემა არ არის კონტრიბუციის შედეგი, არამედ გამოწვეულია გერმანელი მრეწველების მიერ, რომელნიც პასუხისმგებელი არიან გერმანიის არსებულ მდგომარეობისა და გერმანელ მუშების საჭიროებისათვის.

**უცხოელების ინსტრუქციების მიღებაზე უარის თქმა.**

**პარიზი.** 13 თებერ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიამ გადასცა საფრანგეთს ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ გერმანიის საიმპერიო მთავრობა და გერმანიის სახელმწიფოთა მთავრობები უარს ამბობენ მიიღონ უცხოეთის მთავრობებიდან რაიმე ინსტრუქციები გერმანიის მინისტრების მოქმედებისა და ყოფაქცევის შესახებ.

**რურში შესვლის აკრძალვა.**

**მანჰეიმი.** 13 თებერვალი. ჰავასი იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა დაატუსაღოს რურში ნებადაურთველათ ჩასული მინისტრი, უკე თუ მას იცნობენ.

**მდგომარეობის გამწვავება.**

**მანჰეიმი.** 13 თებ. საფრანგეთის მიერ მიღებული აკრძალვითი ზომები, გერმანელ პრესას ბრძოლის უდიდეს გამწვავების ფაზათ მიაჩნია. გაზეთი აღნიშნავს, რომ თვით ოკუპაცია განსაცვიფრებელი დარღვევა საერთაშორისო სამართლისა და ოკუპაციის დასაბუთება—მკაცრი, დაუფარავი ცინიზმი.

**ბლოკადის გაძლიერება**

**პარიზი.** 13 თებ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ ბელგიელები დილით დაიკავებენ ვესელს და ამერიკის საბაჟო კონტროლის ადგილებს იმ საქონლისათვის, რომელიც იგზავნება პროვინციიდან პოლონეთის მიმართულებით.

# ახალი ამბები

— **გაქურდულ ნივთების დათვალიერება.** ამ ბოლო ხანს, სისხლის სამართ. მილიციის ბინაზე, დაგროვდა დიდძალი გაქურდული ნივთები, რომელიც შეგროვებულ იქნა უკანასკნელ ჩხრეკის დროს. დაზარალებულ მოქალაქეთ სთხოვენ მობრძანდენ და დაათვალიერონ ნივთები —თავიანთ დაკარგულ ნივთების გამოსაცნობად.

— **შრომის კანონების კოდექსი ქართულ ენაზე.** ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა კოლეგიამ დაადგინა დაბეჭდოს ქართულ ენაზე ათასი ცალი შრომის კანონების კოდექსისა.

— **ტფილისის აბანოების მუშაობა.** თანახმად ქალაქის სტატისტიკურ განყოფილების ცნობებისა, ტფილისის ქალაქის აბანოების მუშაობა გამოიხატება, 1923 წლის იანვრის თვესა, შემდეგში: აბანოს მომხმარებელთა რიცხვი უდრის 70,396, რომელთაგან ცალკე „ნომრებით" უსარგებლნიათ 33,921 სულს, საერთო განყოფილებებით მამაკაცთ—26,507, ხოლო დედაკაცთ—9,968 სულს. შემოვიდა აბანოებიდან იანვრის თვეში: 2.717.215,000 მანეთი, საიდანაც ცალკე „ნომრებზე" მოსდის 54,5% შემოსავლისა, მამაკაცთა განყოფილებაზე: 26,0 პრ., ხოლო დედაკაცთა განყოფილებაზე—19,5 პროც., გასავალი გამოიხატა შემდეგ თანხაში: 1.450.284,000 მანეთი, რაც შეადგენს 53,4 პროც. საერთო შემოსავლიდან.

— **შემთხვევები.** გაქურდვა. თებერვლის 10-ს, მ--ქე გოგიბერიძემ სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ სად. ალექსანდ[illegible], მისი დაჭერის დროს, არსენ თოფურიძემ [illegible] ვრილმანო დუქანი—100 მილიონის საფასური საქონლით და წაღებულ საქონლით მიიმალა ტფილისში. სისხლის სამართლის აგენტების მიერ მიღებულ ზომებით აღნიშნული თოფურიძე დაიჭირეს ნაძალადევში, და მისი ბინის გაჩხრეკის დროს უპოვეს დიდი ნაწილი გაქურდული საქონლისა. საქონელი ჩამორთმეულ იქნა და თოფურიძე გადაეცა სისხლის სამართლის მილიციას.

# პარტიაში

ხუთშაბათს, 15 თებერვალს, პატიულ კლუბში (ლორის-მელიქ. ქ. № 1) საღამოს 7 საათზე დანიშნულია სტუდენტთა კომიტეტის სხდომა. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

# პროვინციის ცხოვრება

**აჭარისტანის ბიუჯეტი.** აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოსა და აღმასკომის მიერ დამტკიცებულია აჭარისტანის ბიუჯეტი, რომელიც გადაეცემა განსახილველად და დასამტკიცებლად საქ. ცენტრალურ აღმასკომს. ბიუჯეტის მიხედვით (ხარჯთ-აღრიცხვაში ერთი ოქროს მანეთი უდრის 100.000 მ. ქართულ ბონს) აჭარისტანის შემოსავალი გამოანგარიშებულია 2.465.189.59 მან. ოქროთი; გასავალი—4.132.536.81 მან. ამ გვარად ბიუჯეტის დეფიციტი უდრის 1.667.347.22 მან. ოქროთი. მთელი შემოსავლის 66 პროც. ბიუჯეტის მიხედვით გაწერილია კომუნალურ მეურნეობაზე (1.648.000 მან.) შემდეგ რიგში სდგას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გადასახადით—450.000 მ. (18.2 პროც.) სახალხო მეურნეობის საბჭო—258.000 მან. (10.1 პროც.), და სხვა ნარკომატები. გასავლის უდიდესი ნაწილი ეკუთნის კომუნალურ მეურნეობას—39.6 პროც. ბიუჯეტის მთელი გასავალისა; მეორე ადგილი—ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს—20 პროც., სახალხო განათლების კომ.—14 პროც., შინაგან საქმეთა კომ.—10.3 პროც. და სხვა კომისარიატები.

**ბათომის ნავთსადგურში.** ამ ჟამად ნავთსადგურში იმყოფება ხუთი საზღვარგარეთული გემი. ყოველ დღე მოდის ფილიუგა. სოხუმიდან მოვიდა სერბიის გემი „დიმიტრის". გემი „კეისარი" წავიდა კონსტანტინოპოლში და თან წაიღო ნავთი „არკოსისაგან".

# მართმადიდებელ ეკლესი'ს დაშლა და „ცოცხალი ეკლესია" რუსეთში

**(წერილი პეტროგრადიდან).**

(დასარული)

**გ. ანალიზი.**

ჩვენ არ შევუდგებით მომხდარ გაყოფის და მის შედეგების დეტალურ ანალიზს, ეს საქმე განსაკუთრებულ მკვლევარის, ჩვენ მხოლოდ ალვნიშნეთ მთავარი მოვლენანი, მოკლეთ შევეხებით მათ დასკვნითი ხასიათის მიცემას.

თუ თვალს გადავავლებთ ეკლესიის შექმნის, გაფართოების, დაყოფის და გათიშვების ისტორიას, ნათლად დავინახავთ რომ ყოველ დროს ეკლესიის სამღვდელოება იფარავდა მმართველ კლასის ინტერესებს, მჭიდროთ აკავშირებს ერთი მეორეს და ამავე დროს მმართველ კლასის ცვლილებებთან ერთად, ცვლის თავის გეზს იმის და მიხედვით თუ ვინ უჩნდება ქვეყანას ბატონ-პატრონათ, ვინ იმარჯვებს გამართულ ბრძოლებში.

# სადღეისო მუსაიფი

IV

(გაგრძელება*)

ამას უფრო თვალსაჩინოთ ხდის მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ერის მოქმედება და მოღვაწეობა. მართალია, რუსეთის იმპერატორების იმპერიალიზმს ძალიან უნდოდა და სურვილი ჰქონდა ქართველი ერი გაეცამტვერებია, მაგრამ ეს მან ვერ შესძლო და ვერც მოახერხა. ვერ მოახერხა კი იმიტომ, რომ ქართველი ერი რუსეთთან დაახლოვებით და დაკავშირებით თვის შესაფერ სფეროში მოექცა და მოემწყვდა. ძნელი იყო და აუტანელიც ყოფა ქართველი ერისა პოლიტიკური მხრით. მაგრამ ამან ვერ შეაკრთო იმის სული, ვერ გადრიკა იმის ნების-ყოფა და მან განიერი და ღრმა ამოსუნთქით ისუნთქა ჰაერი საბერძნეთისა და ევროპის კულტურისა. ამან აიაზმასავით იმოქმედა იმის დაჭიმულ ნერვებზე და დანაოჭებულ შუბლზე, და ისიც შეუდგა მოქმედებასა და შემოქმედებას. ამის შედეგი კი თვალსაჩინოთ გვიდგია წინ. ალ. ჭავჭავაძიდან დაწყებული დღევანდლამდი. შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ არასოდეს ქართველი კაცის ნიჭი, მადლი და სულისწრაფვა ისე დაახლოვებული, შეთვისებული არ ყოფილა არც ერთ საუკუნეში მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეების ქართველობასთან, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ქართველობა. აქ გაერთიანდა და გაერთსულოვანდა ქართველობა წარსულისა და ახალის საუკუნეებისა და მათ შორის ჩატეხილი და ჩაქცეული ხიდი გაიდო. მეცხრამეტე საუკუნემ გამოააშკარავა ქართველი კაცის ნიჭიერება ყოველ დარგში და ყოველს სულ მცირე მნიშვნელოვან ასპარეზზეც კი. აქ ამიტომ ცხადათ გამოჩნდა ქართველი კაცის სულიერი მადლის სიძლიერე და სიღრმეც. ამანვე ცხადჰყო, რომ ქართველი კაცის ეს სულიერი მადლი არც განადგურებულა და არც მობერებულა როგორც ეს ზოგს ეგონა, თუ იგი მადლი ველარ ბრწყინავდა ისე, როგორც მეთერთმეტესა და მეთორმეტე საუკუნოებში. არა. ეს მადლი მომწყვდეული იყო თვის შეუგუებელს ჰივასა და სითბოში. ამიტომ ეს სულიერი მადლია გაყინული იყო და ველარ მოქმედობდა. გადნა თუ არა ეს ყინული მის გარშემო, მოემწყვდა თუ არა იგი თვის შესაფერ სულიერ ტემპერატურაში, იგი მადლი მაშინვე ამუშავდა და შედეგებიც თვალსაჩინოდ გამოაშკარავა.

საბერძნეთის ძველი კულტურა იყო და არის ჩვენი ერის სამოქმედო და სამოღვაწეო სფერო. თუ არ ამ სფეროში, ისე ქართველი ერის ნიჭი და სულიერი მადლი იჩქმალება, კნინდება და ფრთებს ველარ შლის. ამ მადლიან ზედ-მოქმედებას ამ კულტურისას ჩვენი ერი მოშორდა მას აქით, რაც სათათრეთი გაჩნდა გადაუვალ ზღუდეთ ჩვენსა და საბერძნეთს შორის. ამიტომ ჩვენი ერი რომ არ გამქრალიყო და არც ჩავარდნილიყო პირველ ყოფილ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩააყენა სათათრეთმა ჩვენი ქვეყნის გატაცებული ადგილების მკვირცხლი და ნიჭით უაღრესათ მონაბერი მკვიდრი. ჩვენს ერს ორში ერთი უნდა ექნა: სათათრეთი ან უნდა გადაელახა, გადაეგდო იმ გზიდან, რომელიც მან გადაგვიჭრა და რომელიც გვაერთებდა საბერძნეთთან, ან სხვა გზით უნდა მოევლო და ეს შემაერთებელი გზა კვლავ აღედგინა. პირველი ქართველი ერის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ეს რომ ასეა ეს ცხადია ჩვენი ერის ტრაგედიიდან, რომელიც მან განიცადა მეთორმეტე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდე.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ერი თავგამოდებით ებრძოდა ყიზილბაშობას სათათრეთს, რათა იგი განედევნა შავი ზღვის ნაპირებიდან და ბოსფორითა და დარდანელით საბერძნეთთან აღედგინა კავშირი და ურთიერთობა. მაგრამ ეს ჩვენმა ერმა ვერ შესძლო. ცხადია, ეს ცდა და ეს მიმართულება უნდა უკუეგდო ქართველობას. იგი მართლაც ასე მოიქცა, თუმცა ძალიან გვიან და დიდი ტრაგედიის განცდის შემდეგ. იგი რუსეთის საშუალებით ეზიარა საბერძნეთისა და ევროპის კულტურას და იგიც გამოცოცხლდა.

სათათრეთმა დიდი და გადაუვალი ზღუდე დაუდო ევროპას იმ გზაზე, რომელიც მას ინდოეთთან აერთებდა. ევროპამ დიდი თავგამოდებით მოინდომა ამ ზღუდის გარღვევა, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო. ამიტომ იგი იძულებული შეიქნა, ინდოეთთან რომ კავშირი და მიმოსვლა აღედგინა, აფრიკას შემოუარა და დასავლეთით ამერიკა აღმოაჩინა. ევროპამ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში შესძლო ეს ნაწილობრივ და ინდოეთთან შემაერთებელი სუეზის არხი ხელთ იგდო და ამით მოკლე გზით კავშირი დაიჭირა ინდოეთთან. თუ ეს მოუვიდა ევროპას, რაღა გასაკვირველია, რომ ჩვენ ვერ შევძლებოდა სათათრეთის გადაგდება იმ გზიდან, რომელიც მან გადაგვიჭრა. სათათრემა საბერძნეთი ანატოლიიდან განდევნა. ის კი არა, დღესაც კი ევროპამ ვერ შესძლო სათათრეთის ალაგმვა, რათა მას არ დაეშალა იმპერიალისტური ანტანტისთვის მთელ მცირე აზიაში თამამი ფარფაში და მოქმედება. მაშასადამე, თუ კი ასე ძლიერი იყო და არის დღესაც კი სათათრეთი, რომ მას მთელი ევროპაც კი ვერ სძრავს იმ ისტორიულ შარა გზიდან, რომელზეც იგი ზლაპრული დევივით გაწოლილა, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ ჩვენზე და ჩვენს შეძლებაზე. მაშასადამე, ყოვლად წარმოუდგენელია ჩვენთვის, რომ ჩვენს ერს მიეცეს თავისუფალი, ხელ-შეუშლელი, გამუდმებული და შეუწყვეტელი მიმოსვლა და კავშირი შავი ზღვით ევროპასთან.

მაგრამ ვიცი, მეტყვიან, რომ, რაკი სრუტეები თავისუფალი იქნება, ამასთანავე შავი ზღვის პირათ კი დასავლეთით მდებარეობს რუმინია და ბოლგარეთი, აი, ამ გზით შეგვიძლებთ კავშირის დაკავებას და მიმოსვლას. მაგრამ, არ მგონია, ეს სერიოზული პუბლიცისტის მოსაზრება იყოს. თუ მიმოსვლა და კავშირი ჩვენ ისე გავიგეთ, რომ ერთი ან ორი ვინმე გემში ჩაჯდება, გაივლის შავ ზღვას, იქიდან ან დარდანელით ან რუმინიითა და ბოლგარეთით ევროპაში ამოყოფს თავს, მაშინ ხომ ეს მართალი იქნება. მაგრამ პუბლიცისტს და პოლიტიკურ მოღვაწეს ეს ასე არც უნდა ესმოდეს და არც ნება აქვს ასე გაიგოს, თუ არ უნდა, მან უსუსურობა გონებისა და მოსაზრებისა გამოაშკარავოს. ასეთი კავშირი და მიმოსვლა დღეს მთელი მსოფლიოს რომელიც გინდა იმ კუთხესთან შეგიძლია დაიკავო, რადგან რკინის გზა და ორთქლ-მავალი ყველგან მიგვიყვანს, და მიმოსვლა ეს ტურისტობა კი არ არის, არამედ ეს სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობაა.

ამ თვალსაზრისით, შავი ზღვა და იმის ნაპირს მდებარე სახელმწიფოები ჩვენთვის გამოუსადეგარია. ერთად ერთი გზა ამ კავშირის ამღდგენელი და ამ მიმოსვლის გამჩაღებელი არის მხოლოდ რუსეთი. ამ გზას ჩვენ ვერც დავაგდებთ და არც შეგვიძლია დავაგდოთ, სანამ მთელ მცირე აზიაში, სათათრეთის სამფლობელოში, არ გავრცელდება ევროპის კულტურა და ეს კულტურა ამის შვილთა სულსა და მადლს არ გადაქმნის. ეს კი, თუ შეუძლებელი არ არის, ძალიან შორეული მომავალი მაინც კი არის. ამიტომ ვინც ფიქრობს, რომ შავი ზღვით ევროპისაკენ არის ჩვენი ერის მომავალი ბედნიერება, იგი სიბეცესა და უსუსურობას ამჟღავნებს. იგი უმზადებს ჩვენს ერს დაქვეითებასა და გადაგვარებას. ჩვენი ერის მომავალი ბედნიერება იჭედება მხოლოდ რუსეთი ევროპის კულტურის ზიარებით. ეს მით უფრო მისაღებია, რომ დღეს რუსეთით ქმნის ახალ ღირებულებათ სოციალურსა და მორალურ სფეროებში. გარდა ამისა რუსეთი დიდი ქვეყანაა და ძალიან მდიდარიც. ამიტომ აქ ნამდვილი ნიადაგია ადამიანის გონება განვითარდეს და მრავალი მხრით ამოქმედდეს. ეს გარემოება კი დიახაც ხელსაყრელია ჩვენი ერისთვის, იმ ერისთვის, რომლის უმრავლესობა ნიჭითა და ბუნებრივი მადლით დაჯილდოვებულია. ამას მტკიცება არ უნდა. ამას ადასტურებს ჩვენი ერის ისტორიული ცხოვრების თავგადასავალი, მხოლოდ რუსეთიდან შეგვიძლია ჩვენ მოსვენებით ვიმოქმედოთ და მუდამ და განუწყვეტლივ არ გვეჭნეს ძარღვები დაჭიმული იმ ფიქრით, რომ ამ მხრიდან თუ იმ მხრიდან თავს ვინ დაგვეცემა და ვინ აგვაწიოკებს.

სოციოლოგი ტარდი ამ 30 წლის წინათ სწერდა, რომ რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ, თუ დღეს ევროპაში მშვიდობიანობა არისო. მაშინ, როცა ეს წავიკითხე, მე ეს აზრი გადაჭარბებული მეჩვენა, და ისიც უსიამოვნოდ გავიფიქრე, რომ ასეთს დიდ სოციოლოგზე, როგორიც ტარდია, წუთიერმა გარემოებამ, რუსეთ-საფრანგეთის ალიანსმა, ერთგვარი ფსიქოლოგიური განცდა მოახდინა და იმის გამჭრიახი გონების თვალები ოდნავ დაბინდათქო. მაგრამ დღეს ეს ჩემთვის ცხადია. ცხადია იმიტომ, რომ, რაკი დღეს შეფერხებულია რუსეთის საერთაშორისო ძლიერება, რადგან რუსეთი გართულია შინაური საქმეების მოგვარებით, ამიტომ ირგვლივ გაუთავებელი აწყვეტილობაა და პატარა ერებს ანტანტა უკანასკნელი სისხლის წვეთიდან სცლის, აქეზებს რა მათ ამა თუ იმ სისხლის მღვრელ ომებზე.

ამიტომ ჩვენს ერსავით მეორე არავინ არის ისე ღრმათ დაინტერესებული, რომ რუსეთი კვლავ აღორძინდეს, შინაური საქმეები მოაწესრიგოს და საერთაშორისო დამოკიდებულობაში მოიპოვოს თვისი ძალ-ღონის შესაფერი გავლენა და ხმა, რადგან ეს ჩვენს ირგვლივ მშვიდობიანობას დაამყარებს და ჩვენც შეძლებასა და საშუალებას მოგვცემს, ავამუშაოთ ჩვენი ნიჭი და სულიერი მადლი. უნდა ყოველმა მოქალაქემ ყოველი პატარა ერისამ ღრმათ შეიგნოს და გულის ფიცარზე წარუშლელათ

*) იხ. „ტრიბ." № 418

ლაში, ვის რჩება ბურთი და მოედანი.

ეს შეფარდება მუდამ და ყოველთვის ეკლესიას ორ ბანაკათ ყოფდა; ეკლესია ძველი, წარსულის მიმდევარი და ეკლესია ახალი, ახალ დროსთან და კლასთან შეფარდებული.

წარსულში, ძველი ეკლესია პროპაგანდიარებდა ქრისტეს მოადგილეთ ამ ქვეყნად.

რეფორმისტული ეკლესია კი მას ეშმაკის მსახურად თვლიდა, ჯალოქართა მეფეთ.

ასეთ მოვლენებს არა ერთხელ ქონია ადგილი ისტორიაში.

დღესაც ორი ბანაკია, ორივე ერთი მეორეს კრულვა-წყევლით იხსენიებს, ორნივ ერთ და იმავე წიგნებზე და კანონებზე ეყრდნობა, ორნივ მართლად სთვლის თავის თავს და დამნაშავეთ მოწინააღმდეგეს.

ძველი ეკლესია გვასწავლიდა ექსპლოატატორთა მიერ დადგმული უღლის მოთმინებით ტარებას.

ახალი, „რევოლიუციონური“ ეკლესია მოგვიწოდებს ექსპლოატატორების მოსპობისაკენ, ბმოილეტისაკენ.

ძველი ეკლესია ამართლებდა კაპიტალისტურ წყობილებას, გუნდრუკს უკმევდა აბსოლიუტურ მონარქიას, ახალი ეკლესია მოგვიწოდებს ბურჟუაზიის წინაალმდეგ ბრძოლისათვის, გუნდრუკს უკმევს მუშას და გლეხს.

ძველი ეკლესია თვალს უხვევდა უვიც მორწმუნეთ წმინდანებთა ნაწილებით, აშინებდა მომავალ შავი, განკითხვის დღის დადგომით, ამრავლებდა ხატებს, და ივსებდა ჯიბეებს ხალხში ცრუმორწმუნეობის გავრცელებით, ახალი ეკლესია უარყოფს წმინდანების საწილებს, ამხელს, რომ ეს ბერების მიერ მოგონილი მოსატყუებელი მასალა იყო, უარყოფს ხატებს, ხოლო წმინდანების თაყვანისცემას აღიარებს მრავალღმერთიანობათ.

რომელია მართალი, ვინ არის მტყუანი? რა მდგომარეობაში ვარდება საწყალი, ამდენ ხანს ცრუ გზაზე მდგარი და შეცდენილი მორწმუნე. თუ ყურს ვათხოვებთ ამ ორ ბანაკთა მეთაურების განცხადებას ორივე მართალი არიან და ორივე მტყუანი. მართალნი არიან სასულიერო წიგნების მიხედვით, რომლებითაც რაც გსურთ იმას გაამართლებთ და რასაც ინებებთ იმის გასამართლებელ მასალას უხვათ ამოსძებნით შიგ. ხოლო ორთავე მტყუანი არიან ძირითად დებულებების მიხედვით: განა ვიღას სწამს წმინდა ეკლესიის წმინდანობა, ღმერთის არსებობა და სხვ., თუ კიდევ მოიპოვებიან ასეთები ეს უფრო ჩვეულების, შთანერგილ შიშის შედეგია, ვინემ ნათელი წარმოდგენის და რწმენის.

მაგრამ ასეთ პირებსაც რაღა რწმენა უნდა შერჩეს „ცოცხალ ეკლესიის“ განცხადებების შემდეგ, როგორღა უნდა დაუჯეროს „უცოდველ“ ეპისკოპოზებს, მღვდლებს და მათ მამა მთავარ პატრიარქებს, როდესაც ისინი ხელთათმანებივით იცვლიან სარწმუნოებას და ყოველ გადატრიალებისთანავე წინაალუდგებიან იმას, რასაც გუშინ თაყვანსა სცემდენ. თუ სამღვდელოება აპირებს და კიდევაც ცდილობს თავის ნაბიჯების გამართლებას შეცდომებით, მაშინ მორწმუნე ადამიანში უსათუოდ შემდეგი აზრი დაიბადება: ვინ აცდენდა მათ, სამღთო წერილები და ღმერთი? თუ ისინი, მაშინ ღმერთი მატყუარა ყოფილა, სამღთო წერილები კი ცრუ წიგნები ცრუ ღმერთის მიერ შთაგონებით დაწერილები. ასეთი ღმერთი აბა ვილისთვის არის საჭირო?!

**ი. ხვალინდელი დღე.**

— ვიდრე ხვალ უფალო? შეეკითხენ იესოს, წამების შიშით შეპყრობილნი და გაქცეული. მოწაფენი.

— მივდივარ რომს განმეორებით წამების მისაღებათ—უპასუხა იესომ.

იესო რომ კვლავ რამოდენიმეჯერ მოვლინებოდა კოკრების თაყვანისმცემლებს დღემდის, თითონ იმას დასჭირდებოდა ზემოხსენებულ კითხვის დასმა და არა ერთხელ.

დღესაც ძვირფას ქვებით შემკობილ ტახტზე მჯდარი იესო ზევიდან მრისხანეთ ეკითხება „ცოცხალ ეკლესიას“.

— ვიდრე ხვალ „ცოცხალო ეკლესიავ“?

და თავის და სამარცხვინოთ „ცოცხალი ეკლესია“ პასუხს ვერ მისცემდა, ვინაიდგინ გუშინდელმა ჩასუქებულმა ლიპმა დღეს აღარ იცის საით მიდის, ან სანამდის უნდა იაროს. რესპუბლიკის მიერ სარწმუნოება პირად საქმედ არის აღიარებული, ხოლო თითონ ურწმუნოების მიმდევარია, მაშასადამე რა ნაირად შეიძლება შეფარდება, შესისხლხორცება სარწმუნოებისა და ურწმუნოებისა იმდაგვარათ, რომ ეკლესიამ არსებობა არ დაკარგოს. სამღვდელოება მიდის კომპრომისებისაკენ, და იმდენათ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში უარყოფს ქრისტეს მცნებებს.

„Живая церковь“-ის ჟურნალში (№ 6 და 7) დაბეჭდილი წესდება გაკვრით აღნიშნავს ძველი აღთქმის წიგნების გადაშინჯვის და გასუფთავების საჭიროებას, ეგრეთვე საჭიროთ სცნობს ღვთის მსახურების წესის რეფორმას. იმავე ჟურნალში ერთ-ერთი მღვდელი შემდეგ საკითხს იძლევა: „ვილასთვის არის საჭირო მკვდარი სლავიანური ენა? ვის სჭირდება გაუგებარი ბუტბუტი დიაკვნისა? ან და სულ ამოუთქმელი, ჩიფჩიფით ჩამოყოლა ლოცვებისა?“.

მეორე კი აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში მოხდა „გრამოფონიზაცია ღვთის მსახურებისა“.

ამნაირად დღითი დღე აცლიან ეკლესიას პატარ პატარა ქვებს ჯერ პატარანი, გაუბედავი მღვდლები და დიაკვნები, ხოლო ხვალ უფრო გამბედავნი მათ შორის გამოაცლიან დიდ ქვებსაც და ერბაშათ, დაიმსხვრევა ოც საუკუნის განმავლობაში ნაშენები ციხე-სიმაგრეები, ოდესღაც ძლევა მოსილი ეკლესიისა—ინგრევა ეკლესია და ვერავითარი ძალა მას ველარ აჩერებს, იქსაქსება სამღვდელოება და არავითარი ხსნა აღარ დარჩენიათ მათ გარდა გაპარსვის და თოხის ხელის მოკიდებისა.

თუ დღეს კიდევ ბავშურ ილიუზიებით იკვებება „ცოცხალი ეკლესია“ რომ თავის სახეობას შეინარჩუნებს, თუ დღეს კიდევ ულვივის იმედი, რომ ის პროლეტარიატის გამეფების დროსაც შესძლებს თუ მეფობას არა, თავის რჩენას მაინც, ხვალ ნათლად დაინახავს რომ პროლეტარიატს ის სრულიად არ სჭირდება, არც ძველი, არც ახალი, არც პროგრესიული და არც რევოლიუციონური, რომ მას არ სჭირდება არც ერთი რელიგია.

ხვალ მშრომელი კლასი „სულთა თანას“ უმღერებს ძალ-დაუტანებლათ, თავის თავად დაშლილ ეკლესიას, მის მესვეურ სამღვდელოებას, იმ სამღვდელოებას, რომელიც გუშინ ზემოხსენებულ ჰანგებით უმასპინძლდებოდა დამშეულ, სიცოცხლე განამწარებ, სიკვდილის კარ მიმდგარ მუშა და გლეხებს.

ფ. ზუზინიძე.

25 იანვარი 1923 წ.

ქ. პეტროგრადი.

# მუშათა ცხოვრება

**კომუნალურ მეურნეობის კავშირში.**

კომუნალურ კავშირის პრეზიდიუმმა ყურადღება მიაქცია უმუშევარ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. კავშირმა გადასწყვიტა დახმარება აღმოუჩინოს თავის წევრთ იმ ფონდიდან, რომელიც არსებობს სპეციალურად უმუშევართა დახმარებისათვის. შრომის დაცვის განყოფილებამ ამ მიზნით დაურიგა ანკეტები (ცნობის ფურცელი) უმუშევართ, სადაც აღინიშნება უმუშევართა ოჯახური მდგომარეობა, მაგალითად ვის რამდენი შესანახი ჰყავს ოჯახში. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს მცირე წლოვან მომუშავეთ, რომელნიც ინახავენ მოხუცებულ მშობლებს და ქვრივებს, რომელთაც ჰყავთ შესანახი ბავშები. დახმარება უკვე 22 კაცს აღმოუჩინა კავშირმა.

— გასულ იანვრის თვის განმავლობაში კულტურულ განყოფილების ყურადღება კვლავ მიქცეული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად. იანვარში კავშირს ქონდა ამ მიზნისათვის 5 სკოლა. ამავე ხნის განმავლობაში კავშირმა შრომის სკოლაში გაგზავნა მუშების ოთხი ბავში. პროფესიონალურ ტეხნიკურ სფეროში კულტგანყოფილება ჰფიქრობს გახსნას ელექტრიკებისათვის კურსები, რომლისთვის უკვე შემუშავებულია პროგრამა. კულტ-კონფერენციები კავშირს იანვარში არ ჰქონია. კულტურული კომისია თავის მუშაობას განაგრძობს ძველი გზით, მის ხელმძღვანელობით სწარმოებს მუშაობა კლუბებში, სადაც არსებობს დრამატიული მუსიკალური სტუდიები.

— 8 თებერვალს შესდგა ცენტრალურ გამგეობის სხდომა. გამგეობამ დამსწრეთ გააცნო თავისი მოღვაწეობის ანგარიში და მოიწონა მომავალ სამუშაოს გეგმა.

**მიწა-ტყის კავშირში.**

მიწა-ტყის კავშირის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე 9 თებერვალს დაადგინა: გაუხსნას კრედიტი 10 მილიონი მანეთით, კავშირის თანხებიდან ბოტანიკურ ბაღის აღმასკომს ადგილობრივ სკოლა-კლუბის მოსაწყობად. ეს თანხა დაფარული იქნება ბოტანიკურ ბაღის აღმასკომის 2 პროცენტიან შემოსავლიდან ამხ. ბედუკიძის მოხსენების თანახმად, პრეზიდიუმმა დაადგინა: წინადადება მიეცეს [illegible] მის გამგეს, მიიღოს ზომები საბრეშუმო სადგურის და საჯინიბოს მუშებისათვის სკოლის დაარსების საქმის მოსაწყობად.

— კავშირმა გამოიმუშავა თეზისები შრომის დაცვის შესახებ.

— პროფკავშირის საბჭოს ცირკულიარის თანახმად, საკულტურო მუშაობაში სამკითხველოს აუცილებლად დაარსების მუშა-მოსამსახურეთათვის, პრეზიდიუმმა ამ საქმის ხელმძღვანელობა და მოწესრიგება დაავალა ამხ. ბედუკიძეს.

**ქიმიკოსთა კავშირში.**

ქიმიკოსთა კავშირის კულტ. განყოფილების მუშაობა გასული თვის იანვრის განმავლობაში გამოიხატა შემდეგში: იანვარში წერა-კითხვის უცოდინარი ითვლებოდა სულ 91 კაცი. სკოლები როგორც დეკემბრის განმავლობაში იანვარშიაც ისე განაგრძობდენ მუშაობას. ახალი სკოლა არ გახსნილა. პროფესიონალური ტეხნიკური კურსები კავშირთან არ არსებობს. სკოლებში მუშები დადიოდნენ წესიერად. სწავლა-განათლების მხრივ კავშირის წევრები კარგად არიან დაკმაყოფილებულნი. პროფ. აგიტაციის და პროფ. პროპაგანდის მხრივაც საქმე კარგად არის დაყენებული. კულტ. კომისიას იანვარში სამჯერ ჰქონდა სხდომა. სხდომები განსაკუთრებით არკვევდნენ კულტ. განმანათლებელ საქმეების საკითხებს. ბორჯომის განყოფილებას სისტემატიურად ეგზავნება ინსტრუქციები, გაზეთები და ცირკულიარები. საკლუბო მუშაობაც ჩქარი ნაბიჯით მიმდინარეობს ასანთის ქარხანის, 25 ოქტომბრის სახელობის კლუბის მუშებმა მოახდინეს ყოფ. ბოზარჯიანის თამბაქოს ქარხნის მუშებთან ერთად თავიანთ კლუბის გაერთიანება, იანვრის განმავლობაში გამოწერილ იყო ყველა ადგილობრივი გაზეთები და აგრეთვე გამოწერილ იქმნა გაზეთები მოსკოვიდან „პრავდა“, „იზვესტია“ და „რაბოჩი“ გაზეთი „მუშა“ დაწესებულებებისთვის გამოწერილ იყო 27 ცალი. ამის გარდა კავშირი ღებულობდა ცენტრალურ კომიტეტის ორგანოს „რაბოჩი ხიმიკ“ 25 ცალს. ამ საანგარიშო თვეში კულტ. ფონდში შემოვიდა 41.882.000 მან. გასავალი იყო 38.200.000 მან. ამავე თვეში კავშირმა გადიხადა ქიმიკოსთა [illegible] და 29 იანვარს მოაწყო ამის გამო განსაკუთრებული კონცერტი-საღამო. იუბილეს აღსანიშნავად გაზეთმა „მუშამ“ უძღვნა განსაკუთრებული ნომერი.

**მეტყველთა კავშირში.**

პირველ რიგში მეტყველთა კავშირმა დააყენა წერაკითხვის უცოდინარობის მოსპობა თავის წევრთა შორის. გასულ თვის იანვრის განმავლობაში ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და ამ მხრით კავშირმა თავის მუშაობის დიდ ნაყოფსაც მიაღწია. ყველა წევრნი—მუშები დღეს უკვე გადიან დაბალ საფეხურის სკოლას და სულ ახლო მომავალში კავშირის წევრთა შორის სრულიად მოისპობა—წერაკითხვის უცოდინარობა. იანვრის განმავლობაში კავშირის პრეზიდიუმს ჰქონდა კულტურულ-განმანათლებელი საკითხების შესახებ თათბირი. პრეზიდიუმის დადგენილებით ყველა წევრებს შორის უნდა გაცხოველდეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. გამოწერილ იქმნას გაზეთები და შეძენილი წიგნები წიგნთ-საცავ სამკითხველოსთვის სამკითხველოების და წიგნების ნაკლულოვანობის შესახებ კულტურულ განყოფილებას დაევალა, რათა ყველა ქარხნის ადგილობრივმა კომიტეტმა თავის წევრები მიამაგრონ მთავარ პოლიტიკურ განათლების სამკითხველოებთან. საკლუბო მუშაობა გასულ თვის განმავლობაში კავშირს არ უწარმოებია.

**კომუნალურ მეურნეობის კავშირში.**

კომუნალურ მეურნეობის კავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ იანვრის განმავლობაში მოახდინა ყველა ადგილკომების ხელ-ახალი არჩევნები. პროვინციაში ადგილ-კომთა ახალ წევრთა ასარჩევად გაიგზავნა განსაკუთრებული ცირკულიარები. სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებამ გასულ თვეში შეიმუშავა კოლექტიური ხელშეკრულების პირობები.

**აღმშენებლობითი კავშირში.**

აღმშენებლობითი კავშირის ცენტრალურ გამგეობამ 10 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: საკლუბო მუშაობის საქმის რიგიანად დაწყებისათვის და სარაიონო კლუბების საორგანიზაციოდ ეთხოვოს საქართველოს პროფკავშირების საბჭოს აღმოუჩინოს დახმარება ფულის სახით ფონდის საორგანიზაციოდ და საურთიერთო დამხმარე კასის დაარსების შესახებ, გატარდება კომპანია და ამ საკითხების მოსაგვარებლად ამორჩეულ იქნება სპეციალური კომისია. კავშირმა აღმშენებლობითი განყოფილების შეერთება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს სახელმწიფოს შეიარაღების კომიტეტთან —პროექტი მოიწონა.

# განათლების მუშაკთა მე-2 ყრილობა

უკანასკნელი (მეშვიდე) სხდომა

კრებას თავმჯდომარეობს ქაცარავა. მოხსენებას აკეთებს სამანდატო კომისიის წევრი: დელეგატები არჩეული არიან კანონიერად, ამბობს იგი, მხოლოდ არიან ისეთი გამონაკლისნი, როდესაც დელეგატს თან არა აქვს ის ოქმი საზოგადო კრებისა, რაზედაც ისაა არჩეული. ასეთ ამხანაგებს ჩვენ მივეცით სათათბირო ხმა.

განათლების მუშაკთა კავშირის წევრებად, მთელს საქართველოში, ირიცხება სულ 10.000-მდე კაცი. მაშასადამე ამ ციფრის მიხედვით, ყრილობაზე უნდა გამოცხადებულიყო 100 დელეგატი. აქ კი არის 95 დელ. გადამწყვეტი ხმით და 14 სათათბირო ხმით. სულ 109 კაცი.

ეროვნების მიხედვით დელეგატები არიან დანაწილებული შემდეგ ნაირად: ქართველი—76; რუსი—12; სომეხი—14; ოსი—1; ბერძენი—3; ებრაელი—1; ბულგარელი—1; გერმანელი—1; პარტიული მიმართულების მიხედვით, გადამწყვეტი ხმანი: კომუნისტი—44; ახალგაზრდათა კომ. კავშირის წევრი—1; ანარქო კომუნისტი—2; კ. პარტ. თანამგრ. 5; მემარცხენე სოც.-ფედერალისტი—4; (ერთი სათათბირო ხმით) განათლების ცენზის მიხედვით: უმაღლესი ცოდნით—35, საშუალო—69; დაბალი—5.

დელეგატები არიან ყველა მაზრებიდან გარდა თიანეთისა.

სამანდატო კომისიის მოხსენება მიღებულია ერთი ხმის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ ყრილობა გადადის წაკითხულ მოხსენების შესახებ რეზოლიუციების გამოტანაზე. ცენტრალური კავშირის გამგეობის მოხსენების შესახებ შემოდის პირველი რეზოლიუცია ყრილობის პრეზიდიუმის სახელით: **რეზოლიუცია კავშირის ცენტ. გამგეობის მოქმედების შესახებ,** მოისმინა რა ამხ. გეგენავას მოხსენება, ცენტრ. გამგეობის მოღვაწეობის შესახებ, სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მეორე ყრილობა აღიარებს, რომ ცენტ. გამგეობა უცველად ადგა სწორ გზას საკავშირო მუშაობაში და როგორც საორგანიზაციო, ისე სატარიფო-ეკონომიური და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჩატარებულია დამაკმაყოფილებლად. მაგრამ აღნიშნავს რა ცენტრ. გამგეობის მიერ ადგილებისადმი სუსტ ხელმძღვანელობას და კავშირის უქონელობას მათთან, ყრილობა კატეგორიულად ავალებს ახალ გამგეობას, მოაწყოს და განამტკიცოს ადგილებთან კავშირი და მზრუნველობის განსაკუთრებულ საგნად დაისახოს საერთოდ განათლების მუშაკთა და კერძოთ კი ტეხნიკურ მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამ რეზოლიუციის შემდეგ შემოდის მეორე რეზოლიუცია ერთი ჯგუფებისაგან, რომელიც დიამეტრიალურად ეწინააღმდეგება პირველს და გამგეობის მუშაობა არა დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

შემოდის აგრეთვე მესამე რეზოლიუციაც, რომელიც მეორის მსგავსი შინაარსისაა, რის გამოც უკანასკნელი არ გაერთიანდა. ფარჩა ის რეზოლიუცია.

თავმჯდომარე უყრის კენჭს. პირველი რეზოლიუცია ღებულობს: 62 ხმას. წინააღმდეგ—2, თავი შეიკავა 15; მეორე რეზოლიუცია ღებულობს—19 ხმას, წინააღმდეგ—62; ამ გვარად მიღებულია ზემოდ მოყვანილი პირველი რეზოლიუცია.

ამის შემდეგ კრება ღებულობს რეზოლიუციას (68 ხმით და 16 შეკავებით) განათლების კომისარის მიერ გაკეთებული მოხსენების შესახებ:

**რეზოლიუცია სახალხო განათლების კომისარის მოხსენების შესახებ.**

მოისმინა რა ამხ. კანდელაკის მოხსენება სახ. განათ. კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ, სრულ. საქართ. განათ. მუშაკთა მეორე ყრილობა აღნიშნავს, რომ მიუხედავად კომისარიატის მუშაობისათვის არა ხელსაყრელ პირობებისა, საორგანიზაციო-საადმინისტრაციო მუშაობა შესრულებულია დასაკმაყოფილებლად და იდეოლოგიური ხაზი სახალხო განათ. კომისარიატის მიერ აღებულია სწორად.

ღებულობს რა მხედველობაში სახალ. განათ. კომისარიატის მატერიალური მდგომარეობის თანდათანობითი გაუმჯობესებას, ყრილობა სთვლის აუცილებელ საჭიროებად:

1. განმანათლებელ დაწესებულებების ქსელის გაფართოვებას საერთოთ და კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში.

2. განათლების დაწესებულებებში მეთოდიურ და იდეურ—პოლიტიკურ მუშაობის განმტკიცებას და გაღრმავებას.

3. განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას მომზადებისა და ხელახლად მომზადების მიზნით, ახალ პედაგოგიურ აზრის მოთხოვნილების თანახმად საჭიროა მოეწყოს მთელ რესპუბლიკაში კურსების, პედაგოგიური თათბირებისა და ყრილობების მთელი რიგი.

4. ყრილობა მიზანშეწონილად სთვლის განათლების მუშაკთა ჩაბმას ფართო წრეების მუშაობაში მათი კოლექტიური შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენების მიზნით როგორც ორგანიზაციულ ისე სამეცნიერო პედაგოგიურ საკითხებში. ყრილობა კატეგორიულად მოითხოვს სახ. განათ. კომისარიატისა და განათლების მუშაკთა შორის უკვე არსებულ ნორმალურ ურთიერთობის განმტკიცებას და გაღრმავებას.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ შემოდის დამატებანი: **მამალაძე:** ჩამორჩენილ კუთხეებში შემოღებულ იქნას ბავშვთათვის სავალდებულო სწავლა დაუყონებლივ უნდა მოისპოს წ. კ. უცოდინარობა. ამ მიზნისათვის, პოლიტ. განათლების მთავ. მართველობის განკარგულებაში არსებული თანხები გადაეცეს სახ. განათ. კომისარიატს და ამ უკანასკნელს დაევალოს აღნიშნული საქმის ჩატარება.

ეს დამატება მიღებულია ერთხმად. ამის შემდეგ ყრილობა ღებულობს რეზოლიუციას კავშირის მომავალი ამოცანების შესახებ.

დაიწეროს, რომ პატარა ერებს ნება არ აქვთ, თვისი ერის სიმცირისა გამო, ავანტიურის გზას დაადგენ და იმპერიალისტური სულის კვეთებით დაიავათმყოფონ თავი, თუ სურთ, რომ მათი ერი ერთბაშათ არ წარიხოცოს დედამიწის პირისაგან. ეს კი ადვილი საქმე იყო წინათ და ახლა კი სრულებით გაადვილებულია. ჩვენ ვიცით, რომ გლადსტონის ლიბერალურმა ქათინაურებმა სათათრეთის სომხობა წაათამამა და საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევია, ის ნაბიჯი, რომელმაც გამოიწვია სომხობის ჟლეტა-ხოცვა სათათრეთის მიერ. ესევე ბედი განიცადეს ამავე სომხობამ ამ უკანასკნელის საერთაშორისო ომის დროს, როცა იგი სომხობა ენდო რუსეთის იმპერიალისტებს, რუსეთის ლიბერალებს, რომელნიც სომხობას აქეზებდენ სათათრეთის საწინააღმდეგო მოქმედებისაკენ და სომხობაც ამ ანკესზე წამოეგო. შედეგი კი ამ გულუბრყვილობისა და ალალ-მართლობისა დაწერილია სომხების წითელი სისხლით ისტორიის ფურცლებზე, რადგან სწორეთ იმიტომ სათათრეთის ხელისუფლობამ მუსრი გაავლო სომხობას. არ უნდა დავივიწყოთ ის ცხადი ფაქტი, თუ რა განსაცდელი თავს დაატეხა პატარა სერბიას რუსეთის ავანტიურამ ან მცირე საბერძნეთს, ანტანტის ავანტიურამ.

ისტორიულ ფაქტებს შეფასება უნდა დინჯათ და ღრმად. ვაი იმ ერს, რომელიც ამას ვერ შეიგნებს ან ვერ შეიძლებს. ძრავინ ისე დაინტერესებული არ არის სოციალიზმის ჭჭანხორციელების საქმეში, როგორც პატარა ერი. ამიტომ პატარა ერი უნდა ცდილობდეს, სწორეთ ის დიდი ერი გაამაგროს ფიზიკურათა და მორალურათ, რომელიც თავს ღებულობს ამ სოციალიზმის ცხოვრებაში დამყარებას. ამიტომ პატარა ერის მოღვაწენი ვალდებული არიან შეიგნონ და თვისი ერის შვილებსაც ეს შეაგნებინონ და ეს შეათვისონ. სხვა გვარი ამათი საქციელი საბედისწერო იქნება პატარა ერისთვის.

ი. ფანცხავა.

## რეზოლიუცია კავშირის ამოცანების შესახებ.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ მამალაძეს შემოაქვს დამატება: პროვინციის მასწავლებლებს დარჩეს მიწის სრული ნორმა თუ ეს უკანასკნელი მას ამუშავებს დაუქირავებელი შრომით. **ყურულაშვილი** მოითხოვს დარჩეს იმ მასწავლებლებს ნახევარი ნორმა ვინც სოფელში არ სცხოვრობს, მაგრამ მასთან მაინც აქვს რაიმე კავშირი. **ცერცვაძე** აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ამ შესწორებათა მიღება, ვინაიდან დეკრეტში აღნიშნულია, რომ მიწებს ანაწილებს ადგილობრივი ორგანოები და ეს საკითხიც მათ კომპეტენციაში შედის.

ყრილობა ღებულობს ყურულაშვილის შესწორებას.

რეზოლიციების მიღების შემდეგ სხდომა გადადის არჩევნებზე. კომ. ფრაქციის სახელით შემოდის წინადადება გამგეობის წევრთა რიცხვი გადიდებულ იქნას 21-მდე. წინადადების მიღების შემდეგ იმავე ფრაქციის სახელით გამგეობის ასარჩევ წევრთა სია. შემოდის მეორე სიაც უპარტიოთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი, მაგრამ ხმის დიდი უმრავლესობით ყრილობის მიერ მიღებულ იქნა კომუნისტური ფრაქციის მიერ წარმოდგენილი ცენტრალური გამგეობის წევრთა სია შემდეგი პირების შემადგენლობით:

1. შავერდოვა, 2. მეძმარიაშვილი, 3. გეგენავა, 4. შიუკაშვილი, 5. კაცარავა 6. ოჩკინი, 7. თედეევი, 8. ჩხარტიშვილი, 9. ჩერკაშინი, 10. ღუდუშაური. 11. კაჭარავა, 12. შახნაზაროვი, 13. დარაბველიძე, 14. კვირკველია, 15 თალაკვაძე, 16. სმირნოვი, 17. კიკნაძე, 18. გურსკი. 19. მამიტაშვილი, 20. ჰუმბურიძე.

**კანდიდატები:**

1. კობახიძე, 2. ცხაკაია, 3. მეგრელიძე, 4. ვოლკოვი, 5. კვაჭაძე.

ცენტრალური გამგეობის შემდეგ, ირჩევა სარევიზიო კომისია 5 წევრისაგან და ორი კანდიდატისაგან:

**სარევიზიო კომისია:**

1. ამირეჯიბი, 2. დიდიძე, 3. კოლიუბაკინა, 4. ლევიცკი, 5. ასლანოვი.

**კანდიდატებათ:**

1. თავზარაშვილი და სუხოვი.

ყრილობის დახურვის წინ ამხ. ქაცარავა, შემდეგ ყურულაშვილი აღნიშნავენ იმ საქმიანობის დიდ მნიშვნელობას, რომელიც აწარმოვა ყრილობამ და მოუწოდებენ მასწავლებლებს ჩვეულებრივი ენერგიით გააძლიერონ მუშაობა კულტურისა და განათლების სარბიელზე.

ყრილობა იხურება „ინტერნაციონალით“.

## უმაღლესი სასწავლებლის დაარსება საქართველოში

(გაგრძელება*)

III

უმაღლესი სასწავლებლის დაარსება საქართველოში მომწიფებული საკითხი იყო, მის დასაარსებლად 1907 წ. შუამდგომლობა აღძრა თვით კავკასიის მეფის მოადგილემ ვორონცოვ-დაშკოვმა, მინისტრთა საბჭოს წინაშე. მაგრამ მინისტრთა საბჭომ მაშინ ეს საკითხი უარჰყო.

შემდეგ წლებში მთავრობა თითქოს პრინციპიალურად თანახმა გახდა კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებისა, მაგრამ დაბრკოლებად ფინანსიურ უსახსრობას ასახელებდა.

მალე გამოირკვა, რომ ეს დაბრკოლებაც დაძლეული არის: კერძო შემოწირულებებიდან შესაძლებელი შეიქმნა უმაღლესი სასწავლებლის გახსნა.

მაშინ ტფილის, სადაც უნდა დაარსებულიყო უმაღლესი სასწავლებელი, მეტოქეც კი გაუჩნდა. ქალაქი კავკავი.

„სანკტ-პეტერბურგსკაია ვედომოსტ“-ში ვინმე ფილკოვიჩი ხშირად უბრუნდება ამ საკითხს და ამტკიცებს, „არამც თუ უნივერსიტეტის, არამედ სამოსწავლო ოლქის და მთლად კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის კავკავში გადატანა, არა მარტო კავკასიისა, არამედ მთელ რუსეთის საკეთილდღეოდ აუცილებელიაო“.

ამნაირად, სულ ახალ ახალ დაბრკოლებებს ქმნიდა რუსეთის მეფის მთავრობა ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების წინაალმდეგ. ამის გამო აღშფოთებული ქართველი საზოგადოება 1912 წ. დასაწყისში სიბრაზით სწერდა წერილებს გაზეთებში.

*) იხ. „ტრიბუნა“ № 391, 392, 404

კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსების საკითხმა დიდი რყევა განიცადა.

რუსეთის მეფის მთავრობამ ეხლა უკვე სხვა მოტივები წამოაყენა მის დაარსების წინაალმდეგ. პეტერბურგში საუწყებათაშორისო თათბირზე მის წინაალმდეგ გაილაშქრა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ზაევმა. მისი აზრით კავკასიის უნივერსიტეტი იქაური რევოლუციის კერად გადაიქცევა და აი სწორედ ამ აზრმა შეაფერხა საკითხის მალე გადაწყვეტა.

კავკასიის მეფის მოადგილემ 1912 წ. ხელმეორედ წარადგინა მინისტრთა საბჭოში მოხსენება კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ის მოხსენებაში ილაშქრებს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის და შინაგან საქმეთა მინისტრის წინაალმდეგ და მოითხოვს ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. პეტერბურგის გაზეთები მხარს უჭერენ ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებას და ამბობს: „ტფილისის უნივერსიტეტი არავითარ სახელმწიფო საფრთხეს არ წარმოადგენსო“. („ნოვოე ვრემია“ და სხვები).

საინტერესოა, მეფის მოადგილის ეს მეორე მოხსენება, მინისტრთა საბჭოში გაგზავნილი, თუ როგორი თვალსაზრისით ზომავს ის, ამიტომ მოგვყავს ის შემოკლებით:

„ტფილისის უნივერსიტეტის საკითხმა სასურველი მიმდინარეობა ვერ მიიღო პოლიტიკურ ხასიათის მიზეზთა გამო, —ამბობს მეფის მოადგილე თავის მოხსენებაში,—ეს მოსაზრებანი მინისტრთა საბჭომ განიხილა ჯერ ისევ 1907 წ. როდესაც ჩემს უქვეშევრდომილეს მოხსენებას იხილავდა და მაშინ მინისტრთა საბჭომ უსაფუძვლოთ ალიარა იგი... მომდინარე წლის 9 თებერვალს (1912 წ.) შინაგან საქმეთა ეხლანდელმა მინისტრმა ახალი საბუთი მოიყვანა კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების წინაალმდეგ, ეს საბუთია: კავკასიის ახალგაზრდების მონაწილეობა რუსეთის მოძრაობაში“. მეფის მოადგილე აღნიშნიშნავს, ეს მონაწილეობა უნდა აიხსნას კავკასიელთა ექსპანსიური ბუნებით და იმით, რომ ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებს მოწყვეტილი ახალგაზრდანი ადვილად ვარდებიან ცუდ. გავლენის ქვეშაო. რაიც შეეხება კერძოდ სომხურ ნაციონალისტურ მოძრაობას, დღეს, „დაშნაკცუტუნს“ იმაზე მეტი გავლენა აღარა აქვს სომხის ხალხზე, რამდენიც სოციალისტ-რევოლიუციონერებს რუსებზე. სომხების ნაციონალისტური მოძრაობა დაეცა და სახელმწიფო წესწყობილებისთვის იგი აღარავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. ამისთანა პირობებში ვერც ახალგაზრდობაში დაიბადება ნაციონალისტური მოძრაობა, თუნდა მოსწავლეთა უმრავლესობა სომხობა იყოს. ნამდვილად კი 600 ახალგაზრდათაგან, რომელნიც ყოველ—წელიწადს ათავებენ საშუალო სასწავლებელს, ნახევარს რუსები შეადგენენ (?! კ. ნ.), ნახევარს კი ქართველები და სომხები... კავკასიის ოლქის მზრუნველი ამოწმებს, მომავალ უნივერსიტეტში ქართველი ახალგაზრდობა კიდევ, რომ აჰყვეს რადიკალურ სულიერ განწყობილებას, მაჰმადიანთა და სომხების უფრო კონსერვატიული ახალგაზრდობა შეაკავებს მათ. აღარას ვიტყვი რუსებზე, რომელთა განსაკუთრებული მდგომარეობა სხვა ეროვნებებს რუსულ სახელმწიფოებრივ კალაპოტში ჩააყენებს. თუ კავკასიის ახალგაზრდობა დღეს რუსეთში ოპოზიციონურ ელემენტებს უერთდება, ტფილისში, მოზრდილთა ზედ-გავლენის წყალობით ეს აღარ მოხდება... ამის შემდეგ მეფის მოადგილე ეხება ტფილისის ქალთა უმაღლეს სასწავლებელს და ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში სტუდენტების მოძრაობა იყო, ქალთა უმაღლესი სასწავლებელი არაფრით არ გამოეხმაურა მასაო. გარდა ამისა, მეფის მოადგილეს იმედი აქვს, რომ ტფილისის უნივერსიტეტს რუსეთიდან მოაწყდება ახალგაზრდობა... დასასრულს მეფის მოადგილე სწერს: განათლებული ქართველები, სომხები და მაჰმადიანები არამც თუ ერთმანეთში, ძალიან ხშირად ოჯახშიაც რუსულად ლაპარაკობენ. რუსული ენა ოჯახში სახმარებელ ენად გადაიქცა, და ამიტომ ტფილისი რუსულ ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენს არა ნაკლებ, ვიდრე რიგა, ან ვილნა, თუ ამასა ვხედავთ ეხლა, **რა იქნება მაშინ, როდესაც რუსული ენა გაისმის ტფილისის უნივერსიტეტის კათედრიდან და ინტერესები მეცნიერებისა ამ ქალაქს რუსეთის სხვა და სხვა სამეცნიერო ცენტრებს დაუკავშირებს** (კურსივი ჩვენია კ. ნ.) ყველა ამ მოსაზრების გამო მეფის მოადგილეს შესაძლებლად მიაჩნია ტფილისში უნივერსიტეტის დაარსება.

რუსეთის მეფის მთავრობის წევრები, რომელნიც უფრო წინდახედულნი იყვნენ და ფრთხილად მოქმედებდნენ ასე მალე არ დათანხმდნენ ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე. ამ ისტორიულმა მოხსენებამაც, რომლიდან **კავკასიის უმაღლესი სასწავლებელი ერთი საშუალებათაგანი იქნება „ინოროდცები“-ს გარუსებისა და რუსებში გათქვეფისა, რაც მუდმივი ოცნება და ნატვრა იყო რუსების შოვინისტების და მეფის მთავრობის მოხელეების**, ასე ადვილად და დაუყონებლივ არ გასჭრა. მინისტრთა საბჭოს კრებამ 27 მაის 1912 წ. განიხილა კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი.

კონ. ნემსაძე,

(გაგრძელება იქნება)

## ბრძოლა პროსტიტუციასთან

გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ პროსტიტუცია ვითარდება ქალაქში. მეძავ ქალთა რიცხვი მრავლდება და იზრდება. სასტუმროები და სხვა და სხვა „ნომრები“ ხდებიან პროსტიტუციის ბუდეთ.

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები, როგორც გადმოგვცემს გაზეთები, მეტად დახელოვნდა ასეთი „ნომრების“ აღმოჩენაში.

ყოველივე ეს არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს.

ერთი დიდი სოციალური ბოროტება—პროსტიტუციაა. იგი მაჩვენებელია საზოგადოების ქონებრივ-მორალურად დაცემის და დაკნინების. დაბალ ფენები საზოგადოებისა, როგორც ქონებრივად, ისე გონებრივად, იძლევიან პროსტიტუციის საუკეთესო ნიადაგს.

ამ ბოროტების წინაალმდეგ არა ერთი კანონმდებელი ამხედრებულა. დაწყებული დრაკონიდან, ვიდრე საფრანგეთის რევოლიუციამდე და მის შემდეგაც მრავალი დევნა განიცადა პროსტიტუციამ სახელმწიფოსა და ხშირად ეკლესიის მიერაც მაგრამ დღესაც ეს სოციალური ბოროტება უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს იღებს.

ევროპის კულტურული და სამრეწველო ცენტრები, პროსტიტუციის ცენტრებიც არის. ათასობით და ათიათასობით მეძავი ქალი ამშვენებს პარიზისა, ლონდონისა და ბერლინის ქვაფენილებს ისე, როგორც სხვა დიდი ქალაქების ქუჩებსაც.

ჩვენ შეგვეძლო სტატისტიკური მასალით ნათელ გვეყო პროსტიტუციის გრანდიოზული სახე განსაკუთრებით კაპიტალისტურ წყობილების ეპოქაში, როდესაც პროსტიტუცია პროფესიათ იქცა, მაგრამ ეს საჭიროც არ უნდა იყოს მკითხველისათვის.

დღეს ჩვენს დედა ქალაქში, მართალია მცირედ, შედარებით სხვა ევროპის ქალაქებთან, მაგრამ მაინც საკმაოდ, მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით თავს იჩენს პროსტიტუციის უმდაბლესი ფორმა ქუჩური პროსტიტუცია, რაც ბუდნა ვენერიული ავადმყოფობის და გაცილებით მეტი მსხვერპლის შეწირვა შეუძლია, ვიდრე ომსა და დიდ ბრძოლებს.

ცხადია სისხლის სამართლის თანამშრომელთა მუშაობა ვერას გახდება ამ ბოროტების წინაალმდეგ. პროსტიტუციის ისტორიამ იცის, რომ რეპრესიული ზომები ხშირად იწვევდა არა პროსტიტუციის შემცირებას, მის დაცემას, არამედ პირიქით, ხელს უწყობდა მის გაფართოვებასა და განვითარებას. ასეთივე ზომები ვერც ჩვენში მიაღწევს სავსებით თავის მიზანს. რეპრესიული ზომები, როგორც ყოველთვის და ყველგან, ისე დღესაც ჩვენში ვერ აღმოფხვრის სავსებით პროსტიტუციას.

პროსტიტუციის სრულ აღმოფხვრაზედ ფიქრი დღეს, როდესაც მწვავე ეკონომიურ პირობები ვერ დაგვიძლევია და სოციალური საკითხი, საერთოდ, ვერ გადაგვიწყვეტია, შეუძლებელია. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ხსენებულ ბოროტების წინაალმდეგ ბრძოლისათვის მაქსიმუმი არ იქნეს გაღებული.

ყოველგვარი რაციონალური საშუალება უნდა ვეძიოთ პროსტიტუციის წინაალმდეგ. რაც უმთავრესია—აუცილებლად უნდა შევქნად განსაკუთრებული თავშესაფარი მეძავ ქალებისათვის. ჯერ კიდევ სალი ელემენტი უნდა ჩავაბათ მუშაობაში, უნდა აღმოუჩინოთ არსებობის საშუალებანი. ამ მხრით შეიძლება საკმაოდ შევსძლოთ პროსტიტუციის შემცირება, მისი შევიწროება.

ყურადღების გარეშე არ უნდა დავრჩეს დაავადმყოფებულ მეძავ ქალების წამლობა. ამ მხრივ საჭიროა დიდი მუშაობა. ვენერიული ავადმყოფობის ბუდე ძირშივე უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

სახელმწიფომ და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა ყურადღებით უნდა მოეპყრან ამ საქმეს—ამ მხრივ უკვე გაჩერება—და დაყოვნება შეუძლებელია. საკმარისია გავიხსენოთ, რომ უკანასკნელ დღეს პროსტიტუცია იმდენათ გაიზარდა, რომ ადგილიც ქონდა ამ ნიადაგზე მეტად სამწუხარო ამბებს.

მეტი დაყოვნება დაუშვებელია.

ვ. ლ.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**სინათლის გავლენა მუშაობაზე.** ამერიკულ ჟურნალში დოქტორ გალლომ გამოაქვეყნა საინტერესო ცნობები სინათლის გავლენისა და მისი მნიშვნელობის შესახებ შრომის ნაყოფიერებისა და მუშის ჯანმრთელობისათვის. სინათლის საკმაო რაოდენობით ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ნაყოფიერების გადიდება ერთ ნახევარჯერაც. სინათლე ავტომატიურად ზრდის მუშაობის სისწრაფეს, რადგან სუსტი განათების დროს ყველა მოძრაობანი ჩვენ უფრო ჩქარი გვეჩვენებიან და სინათლის დროს კი შესაძლებელია მოძრაობის ნამდვილი გარჩევა და ამის გამო შედარებით მეტი სისწრაფე. ამის გარდა კარგი განათება ამცირებს უბედურ შემთხვევათა რიცხვს. გალლო აღნიშნავს, რომ ყველაზე უფრო მცირე რაოდენობა ამ მხრივ ივლისზე მოდის, უდიდესი კი დეკემბერში, ესე იგი უმცირესი და უდიდესი სინათლის თვეები.

**მცურავი ტანკი.** ამას წინად ნიუიორკში სწარმოებდა პირველი ცდა განსაკუთრებული კონსტრუქციის ტანკისა; ეს ტანკი არის კომბინაცია საბარგულის, ჩვეულებრივი ტანკის და მატორიანი ნავის. ხმელეთზე ის მოძრაობს 25 მილის სისწრაფით საათში. ტანკმა შესძლო ასვლა ვერტიკალურ მდგომარეობაში მდინარე გუმონის ნაპირზე, შემდეგ ჩამოვიდა ძირს, „გადახტა“ მდინარეში და გავიდა მეორე ნაპირზე. ამ ცდებს ესწრებოდნენ სამხედრო უწყების წარმომადგენლებიც.

**სიძველეთა აღმოჩენა.** „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით ბეირუტიდან 25 მილის ჩრდილოეთით, კასსუბის მახლობლად, ექკურსიის დროს აღმოჩენილ იქნა უდიდესი რომაული ტაძარი, ალბად უძველესი წმიდათა-წმიდა ადონისისა. იმავე ადგილებში, ქვიშით დაფარულ სამარეებში ნახული არის ძვირფასი რელიკვიები ბაბილონურ და ფინიკურ წარმოდგომისა. აღმოჩენილ ადგილზე დაარსებულ იქნა პატარა მუზეუმი, ხოლო განსაკუთრებითი ფასიანი აღმოჩენანი გაგზავნილ იქნა ამერიკაში.

**ზღვის სიღრმის გამოცნობის ახალი მეთოდი.** პროფ. ლანჟევენმა გამოიგონა მეთოდი, რომლითაც ხომალდებს უმავთულო ტელეგრაფის საშვალებით შეუძლიათ გამოიცნონ ზღვის სიღრმე და განსაზღვრულ მანძილზე აღმოაჩინონ დაბრკოლებანი: კლდეები და სხ.

**მადნის მონახვა ელექტრონის საშვალებით.** შვეციელ ინჟენრებმა გარრი ნაგხორსტმა და განს ლუნბერგმა შეიმუშავეს მადნის მონახვის ახალი საშვალება. ეს საშვალება მასში მდგომარეობს, რომ ლითონი მადანში საუკეთესო გამტარებელია ელექტროობისა, ვიდრე მის გარშემო მდებარე სხვა ქვის ფენები. 200 მეტრის მანძილზე ერთმანეთისაგან მიწაზე სდებენ პარალელურად ორ გალვანიზაცია ქმნილ ფოლადის მავთულს, დაახლოებით 200 მეტრის სიგრძისა; მავთულებს საგანგებოდ აკრავენ მიწას ფოლადის ვოლტებით. ამ ელექტროდებით გაყავთ ცვალებადი ნაკადი 220 ვოლტისა. ნაკადი ვრცელდება მიწაში ორთავე მავთულს შორის და ლითონები, რომელნიც მიწაში არიან იწვევენ განსაზღვრულ უთანაბრობას ნაკადის განაწილებაში. ეს უთანაბრობა შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მიწაში ჩასმულ ბოლტებით, რომელნიც შეერთებული არიან ტელეფონის მილთან. დამკვირვებელი ეძებს ამ ადგილებში იმ პუნქტებს, რომელთა შორის ტელეფონში არ ისმის ხმა. ასეთ ადგილებში არ არის განსხვავება ნაკადის დაჭიმვაში ბოლტებს შორის; სხვა სიტყვებით—ეს ადგილები იმყოფებიან თანაბარ პოტენციალობის ხაზზე. ამრიგად, იხაზება რუქაზე თანაბარი პოტენციალის ხაზები. თუ კი ამ ადგილებში მადანია, ეს შემჩნეული იქნება ამ ხაზების უსწორობაზე. რუქაზე ეს მაშინვე ეცემა თვალს და შესამჩნევი გახდება. ამ მეთოდს გამომგონებლები უკვე ხმარობენ შვეციასა და ფინლანდიაში. ამ მეთოდის წინაალმდეგ იმის თქმა შეიძლება, რომ წყალიც საუკეთესო გამტარებელია ელექტროობის. მიუხედავად ამისა, გამომგონებლები ამტკიცებენ, რომ განსაზღვრული ცდის დროს ადვილად არის შესაძლებელი განსხვავებულ იქნან უსწორობანი, რომელნიც გამოწვეული იქნებიან მიწის ნიადაგს ქვედა წყლით და ლითონებით.

**ქორწინება რადიო-ტელეფონით.** შეერთებულ შტატებში რამდენიმე ხანიდან შემოიღეს ქორწინება რადიო-ტელეფონით. გენერალ-პროკურორ ნიუტონის განკარგულებით, რადიო-ტელეფონით მომხდარი ქორწინებანი არ ჩაითვლებიან ნამდვილად.

**უდიდესი ჰაეროპლანი.** ყველაზე დიდი ჰაეროპლანი მთელს ქვეყნიერებაზე აშენებულ იქნა ინგლისში. მანძილი მის ფრთებს კიდეებს შორის 64 ფუტია, მატორის სიძლიერე—1000 ცხ. ძალა; ტვირთმზიდველობა—7 ტონნა (დაახლოებით 420 ფუთი). მისი ჰაერში აფრენისათვის სულ 10 წუთი არის საჭირო. ჰაეროპლანი ზიდულობს 25 მგზავრს და მოძრაობს 220 კილომეტრის სიჩქარით საათში.

## მოწერილი ამბები

### წერილები სოფლიდან

**პამიდორისა და ხილის შენახვა**

პამიდორი ძლიერ მარგებელი და გემრიელი საბოსტნე მცენარეა. ამიტომ იშვიათია, რომ მეურნე მას არ სთესავდეს. უბედურება იმაშია მხოლოდ, რომ სოფლელებმა სრულიად არ იციან მისი შენახვა საზამთროდ, როცა ასე ძვირია ყოველი ბოსტნეული, სულ უბრალო კია პამიდორის შენახვა. აი როგორ უნდა შეინახოთ იგი: აარჩიეთ კარგად დამწიფებული, სალი პამიდორები, ჩააწყეთ მოვარაყებულ ქილებში ანუ შუშის ბანკებში და ყოველ რიგს მოაყარეთ საკმაოდ მარილი. ზედ-მეტი მარილი არა თუ ავნებს ანუ გააფუჭებს პამიდორს, პირიქით, საუკეთესოდ შეინახავს მას და მხოლოდ ზედ-მეტ წყალს შეიშრობს. დროს მიმავლობაში, როცა შეატყოთ, რომ პამიდორი შეიჭმუჭნა, მოასხით ჭურჭლის თავზე ცოტა ზეითუნი, რომ პამიდორს ობი არ მოეკიდოს და შეინახეთ მშრალ, გრილ ადგილას თუნდა ახალ მოსავლამდე. ამ გვარად შენახული პამიდორი არა ჰკარგავს არც ერთს თავის საუკეთესო ღირსებას...

ორიოდე სიტყვა ვაშლისა, თუ სხვა ხილის შენახვაზედაც. ჩააწყეთ ვაშლი ყუთებში და თვითეულ რიგს მოაყარეთ წვრილი და მშრალი ქვიშა, გაავსეთ ასე თავამდე, დალურსმეთ სუბუქად და ახარეთ საჭიროებისამებრ თითო. ვაშლი შეინახება მთელს წელიწადს როგორც ახლად მოწყვეტილი...

ივანე როსტომაშვილი.

## წერ. რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ მოგვითავსოთ ეს განცხადება გაზეთ „ტრიბუნაში“. 1923 წ. 4 თებერვლიდან სამუდამოდ ვტოვებ მემარჯვენე სოც.-ფედ. პარტიას და, როგორც დღეს ღრმად დარწმუნებული ამ პარტიის არა სოციალისტობაში, გადავდივარ საქართველოს მემარცხენე სოც-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიაში.

ტ. ჩაჩავა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 700
საქართვ. ... სტამბა ... № 2